საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

## ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004019

„27" აგვისტო 2024 წ.

ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი ვ. ნიჟარაძის I ჩ/ს N1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „მეგა ლუქსური" (ს/კ 404582153)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
იურ. მის: ქ. რუსთავი, მშენებელთა ქუჩა N17ა ; ლიცენზიის
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
მინისტრის 2021 წლის 11 ივნისის N2-853 ბრძანებით გაცემული, მინისტრის 2021 წლის 19 მაისის N2-709 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. (დანართი N18; 11.08.2011)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ N004019 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ N004019 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 2 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის ჩანაწერის პირველი ნაწილის შესაბამისად.

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე-მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნელი კორკოტაძე

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კორკოტაძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

## 2024 წლის 27 აგვისტოს №004019 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

დეპარტამენტის მიერ გამოვლინდა, რომ შპს „მეგა ცემენტი"-ს (ს/კ 404582153) არ აქვს შესრულებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 11 ივნისის №2-853 ბრძანებით გადაცემული, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 19 მაისის №2-709 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №18; 11.08.2011წ.) დადგენილი პირობა. კერძოდ, შპს „მეგა ცემენტი" საქმიანობას ახორციელებდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის გარეშე **(მინისტრის 2021 წლის 11 ივნისის №2-853 ბრძანების მე-2 პუნქტი, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-4 პირობა).**

გამოვლენილ დარღვევაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $79^8$ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს „მეგა ცემენტი"-ს მიმართ, 2023 წლის 17 ოქტომბერს, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 079193 ოქმი, ხოლო 2024 წლის 1 მარტს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 088058 ოქმი, რომელებიც განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ, 2023 წლის 12 დეკემბრის №4-418-23 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $79^8$ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 5000 ლარი. ასევე, 2024 წლის 3 აპრილის №4-120-24 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $79^8$ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 5000 ლარი.

დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილებები შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „მეგა ცემენტი"-ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 27 აგვისტოს №004019 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2024 წლის 27 აგვისტოს №004019 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

ქ. რუსთავში, მშენებელთა ქუჩა №175(ა)-ში განთავსებული, შპს „მეგა ცემენტი"-ს (ს/კ 404582153) კუთვნილ ცემენტის საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 11 ივნისის №2-853 ბრძანებით გადაცემული, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 19 მაისის №2-709 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №18; 11.08.2011წ) დადგენილი პირობის შესრულების მიზნით შპს „მეგა ცემენტი" ვალდებულია:

ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის" შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, ხოლო შეთანხმების შემდგომ, საქმიანობის განხორციელების პროცესში, მუდმივად უზრუნველყოს პროექტში წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფქვევის ნორმების შესრულება (**მინისტრის 2021 წლის 11 ივნისის №2-853 ბრძანების მე-2 პუნქტი, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-4 პირობა**).

ნ. ჯოხაძე